



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერძენაული

ბერძენაული, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის აბისის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), დოლლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. დასავლეთის ფრონის მარჯვ. ნაპირას, ნაცარგორისღელის შესართავთან. 8. დ. 640 მ, ქარელიდან 18 კმ. 511 მცხ. (2014).

ბ. იხსენიება 1424 და 1631 წლების საბუთებში. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ბ-ს მდ. ფცისწყლის ანუ ფცის ფრონის კუთვნილ სოფელთა სიაში ათავსებს. XVII–XVIII სს-ში ბაგრატიონ-დავითაშვილების სათავადოში იყო. 1865 ბ. თავისი 33 კომლით სურამის უბნის დიდი ფცის სასოფლო თემის შემადგენლობაში შედიოდა.

სოფლის შუაში დგას განვითარებული შუა საუკ. იოანე ნათლისმცემლის ერთნავიანი ეკლესია. საფუძვლიანადაა გადაკეთებული XIX ს-ში. ნაგებია გათლილი ლოდებით და აგურით. სოფლის ჩრდილო დიდი ნასოფლარია.

ჭ. გვასალია

გ. საღარაძე